ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 63

ქალაქი ქუთაისი 28 მარტი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის
2018–2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „ნარჩენების მართვის 2016–2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016–2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილებისა და საქართველოს კანონის „ნაარჩენების მართვის კოდექსი" მე–13 მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018–2022 წლების სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
№ 21
2 04 2018

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის
№ 63 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018–2022 წლების სამოქმედო გეგმა

მუხლი 1. სტრატეგიული მიზანი: მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესება და სრულყოფა

პუნ-ქტის №	ამოცანა	ღონისძიებები	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შესრულების დრო	ღირებულება (ლარში)
1.	დასუფთავების პარკის განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად	ა) სპეციალური დანიშნულების მანქანებისა და მექანიზმების შეძენა: ნაგავმზიდები (7+1)მ³ 1 ცალი; ნაგავმზიდი (13+1) მ³, 1 ცალი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2019 წელი – 2022 წელი	150000 250000
		ბ) კონტეინერების რაოდენობის გაზრდა: კონტეინერი 1,1 მ³ – 800 ცალი; კონტეინერი 240 ლ. – 100 ცალი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2018 წელი – 2022 წელი	320000 150000
2.	სტიქიური ნაგავსაყრელებისა და ნარჩენებით გარემოს დაბინძურების აღკვეთა	ა) ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე კონტროლის განხორციელება	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ზედამხედველობის სამსახური	2018 წელი – 2020 წელი	
		ბ) „GIS“ სისტემის გამოყენება ნარჩენებით გარემოს დაბინძურებით აღკვეთასა და შეტყობინების სისტემის შექმნაში	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“	2019 წელი	
		გ) ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული გარემოს ნარჩენებით დაბინძურებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა სანქციების გამოყენება	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2018 წელი – 2020 წელი	
		დ) არასანქცირებული ნაგავსაყრელებიდან ნარჩენების გატანა და კონტროლის დაწესება. შესაბამის ადგილებში კონტეინერების განთავსება	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“	2018 წელი – 2022 წელი	

3.	ქალაქის ტერიტორიაზე დაგვა–დასუფთავების ქუჩების რაოდენობის გაზრდა	დაგვა–დასუფთავების დამატებით უზრუნველყოფა ქალაქის 10 ქუჩაზე	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“	2019 წელი – 2020 წელი	1000000
4.	მომსახურების სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა	ა) მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება მომსახურე პერსონალისათვის ნარჩენების ინტეგრირებული მართვის, ნარჩენების სეპარირების ორგანიზებისა და რეციკლირების საკითხებზე (მუნიციპალიტეტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ არანაკლებ 50 თანამშრომელი)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“	2018 წელი – 2019 წელი	500 დონორთა დახმარებით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით
		ბ) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი ტრენინგ–კურსის შექმნა (ნარჩენების სეპარირება–რეციკლირება, ნარჩენების ინტეგრირებული მართვა) ნარჩენების მართვის სფეროში დასაქმებული პერსონალის პროფესიული გადამზადებისათვის. ტრენინგ–კურსების რეალიზაციის ხელშეწყობა	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2019 წელი	
		გ) ნარჩენების ინტეგრირებული მართვის წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით სასწავლო ტურის ორგანიზება რუმინეთში მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ წარმომადგენელთა მონაწილეობით	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2019 წელი	დონორთა დახმარებით
5.	ინერტული ნარჩენების დასაწყობების უზრუნველყოფა	ა) ინერტული ნარჩენების პოლიგონის შექმნა (ადგილის გამოყოფა, კეთილმოწყობა, აღჭურვილობით უზრუნველყოფა)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2020 წელი	
		ბ) მოსახლეობის ინფორმირება ინერტული ნარჩენების შეგროვების წესების შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2019 წელი	
6.	ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღების უზრუნველყოფა	ქალაქ ქუთაისში დასუფთავების მოსაკრებლის სრული ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2020 წელი – 2022 წელი	

მუხლი 2. სტრატეგიული მიზანი: ნარჩენების სეპარირების არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება და ახალი სისტემების განვითარება

პუნქ-ტის №	ამოცანა	ღონისძიებები	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შესრულების დრო	ღირებულება (ლარში)
1.	პლასტიკის, ქაღალდისა და მინის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა	ა) 1,1 $მ^3$ მოცულობის კონტეინერების (100 ცალი) შეძენა და განთავსება ქალაქის ტერიტორიაზე პლასტიკის, ქაღალდისა და მინის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისათვის	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“	2019 წელი	75000 დონორების დახმარებით
		ბ) 240 ლიტრიანი კონტეინერების (60 ცალი) შეძენა და განთავსება საჯარო დაწესებულებსა და სკოლებში ქაღალდის ნარჩენების შესაგროვებლად	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“	2019 წელი	17400 დონორების დახმარებით
		გ) ნარჩენების მიმღები პუნქტების მუშაობისა და გახსნის ხელშეწყობა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2018 წელი – 2022 წელი	
2.	ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია და შემცირება	ა) გამოყენებული ელექტრობატარეების განცალკავებული შეგროვებისათვის საპილოტე ადგილებში (მარკეტები და სავაჭრო ცენტრები) სპეციალური კონტეინერების დადგმა და მომსახურება	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, კერძო ბიზნესი	2020 წელი	500 დონორის დახმარებით
		ბ) ეკონომიკური სტიმულირების ბერკეტების შემუშავება იურიდიული პირებისათვის ნარჩენების მინიმიზაციის მიზნით (კონკურსის „მწვანე საწარმო“ ჩატარება)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2021 წელი	

3.	ნარჩენების კომპოსტირების ხელშეწყობა	ა) მუნიციპალური საკომპოსტე მოედნის მოწყობა ევროსტანდარ-ტების შესაბამისად	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“	2019 წელი – 2020 წელი	580000 დონორის დახმარებით
		ბ) სპეციალური ტექნიკის შეძენა საკომპოსტე მოედნის მომსახურებისთვის („turner, truck“)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2020 წელი	179000 დონორის დახმარებით
		გ) ტრენინგი კომპოსტირების შესახებ კომპოსტირების პროცესთან დაკავშირებული პერსონალისათვის (არანაკლებ 20 ადამიანი)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2019 წელი	
		დ) ნარჩენების ინდივიდუალური კომპოსტირების წახალისება	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი – 2022 წელი	
		ე) ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება ქალაქ ქუთაისისათვის	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“	2019 წელი	დონორის დახმარებით
		ვ) ნარჩენების კომპოსტირების სტიმულირების მექანიზმების შემუშავება და განხორციელება	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2018 წელი – 2022 წელი	

მუხლი 3. სტრატეგიული მიზანი: გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვაში მოქალაქეთა ჩართვის ხელშეწყობა

პუნქ-ტის №	ამოცანა	ღონისძიებები	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შესრულების დრო	ღირებულება (ათას ლარში)
1.	გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის შესახებ ცოდნის გავრცელება	ა) ნარჩენების მართვის 3R პრინციპისა და კომპოსტირების შესახებ ანიმაციური ვიდეო გაკვეთილების მომზადება მოსწავლეებისათვის (ორი ვიდეო გაკვეთილი)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, უნივერსიტეტები, სკოლები, არასამთავრობო ორგანიზაციები	2019 წელი	5000 დონორის დახმარებით
		ბ) მოსწავლეთათვის ინტერაქტიური ფლეშ თამაშის შექმნა თემაზე „ნარჩენების სეპარირება და რეციკლირება“		2020 წელი	10000 დონორის დახმარებით
		გ) ეკოლოგიური განათლების კლუბების საქმიანობის ხელშეწყობა საჯარო სკოლებში		2018 წელი – 2021 წელი	
		დ) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკოკლუბის ჩამოყალიბების ხელშეწყობა			
		ე) ნარჩენების მართვის 3R პრინციპის შესახებ სახელმძღვანელოს მომზადება და დაბეჭდვა მოსწავლეებისათვის		2019 წელი	3000 დონორის დახმარებით
		ვ) ნარჩენების მართვის შესახებ ტრენინგ–სემინარების ჩატარება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის: პედაგოგები, ჟურნალისტები (4 ტრენინგი, არანაკლებ 100 მონაწილე)		2019 წელი	
		ზ) საზაფხულო ბანაკი ახალგაზრდებისათვის გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე		2018 წელი – 2020 წელი	8000 დონორთა დახმარებით
		თ) ახალგაზრდებისა და მოსწავლეთა მონაწილეობით ეკოოლიმპიადების, ტურების, შეჯიბრებების ორგანიზება		2018 წელი – 2022 წელი	
2.	ნარჩენების სეპარირებისა და რეციკლირების პოპულარიზაცია	ა) ნარჩენების სეპარირებისა და რეციკლირების შესახებ ბუკლეტის მომზადება და დარიგება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში (ახალგაზრდები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი	700 დონორის დახმარებით
		ბ) ტელეგადაცემების ციკლი გარემოსდაცვითი პრობლემებისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ (6 გადაცემა)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი – 2020 წელი	2000
		გ) რადიოგადაცემების ციკლი ნარჩენების სეპარირებისა და რეციკლირების შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	2019 წელი	500
		დ) ნარჩენებიდან დამზადებული პროდუქციის გამოფენა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“	2018 წელი	1000 დონორის დახმარებით

3.	გარემოსდაცვითი ინფორმაციის მისაწვდომობის ხელშეწყობა	ა) საინფორმაციო კამპანიების განხორციელება ნარჩენების წარმოქმნის შემცირების, სეპარირების, გადამუშავების აუცილებლობის, ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების შესახებ	არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია	2018 წელი – 2022 წელი	4000
		ბ) ვებ გვერდის www.wmp.ge განახლება და აქტუალური ინფორმაციის გავრცელება (პერიოდულად)	იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“	2018 წელი – 2022 წელი	2000
		გ) სოციალური ქსელის საშუალებით ინფორმაციის გავრცელება ნარჩენების მართვის მდგომარეობის, მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ქალაქ ქუთაისში	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“, არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი – 2022 წელი	
		დ) ორჰუსის კონვენციის რეალიზაციის ხელშეწყობა, საჯარო ორგანიზაციებში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა ინფორმირება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების შესახებ, ტრენინგ–სემინარები საჯარო მოხელეებისათვის ინფორმაციის გაცემის საკითხებზე	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამთავრობო ორგანიზაციები	2018 წელი – 2022 წელი	2000
4.	გარემოსდაცვითი ღონისძიებების ორგანიზება და მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა	ა) დასუფთავების აქციების ორგანიზება	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“	2018 წელი – 2022 წელი	5000
		ბ) საერთაშორისო გარემოსდაცვითი დღეების აღნიშვნა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, არასამთავრობო ორგანიზაციები, სასწავლო დაწესებულებები	2018 წელი – 2022 წელი	3000
		გ) საერთაშორისო პლენერის ორგანიზება ახალგაზრდა მხატვრების მონაწილეობით გარემოს დაცვის თემატიკაზე		2020 წელი	12000 დონორის დახმარებით
		დ) გამწვანების აქციების ორგანიზება წელიწადში არანაკლებ ორჯერ		2018 წელი – 2022 წელი	30000
		ე) ადგილობრივი მნიშვნელობის გარემოსდაცვითი დღეების დაწესება (რეციკლირების დღე)	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2020 წელი	

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია